პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 167 (6222)

1978 წ. 28 აგვისტო, ორშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჭიდაობა

# დიდი გამარჯვებაც მოვიდა

საბჭოთა „კლასიკოსების" 10 მედალი

ვახტანგ ბლაგიძე მსოფლიო ჩემპიონია

**მონრეალის** ოლიმპიური თამაშების შემდეგ საბჭოთა კავშირის კლასიკური სტილის მოჭიდავეები საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში ერთობ უთანაბროთ ასპარეზობდნენ. გუნდმა თაობათა ცვლა განიცადა, მწვრთნელები ექსპერიმენტებს ატარებდნენ, ნაკრების ოპტიმალურ ვარიანტს ეძებდნენ. როგორც ჩანს, ის ერთადერთი სწორი გზა ნაპოვნი იქნა და აი, დიდი გამარჯვებაც მოვიდა — **მეხიკოში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა „კლასიკოსებმა" 6 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს!**

რა თქმა უნდა, ყველაფერს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია — „დამუცემავი" ჩავარდნებიც იყო, დასანანი მარცხიც, მაგრამ მთავარი შედეგი სახეზეა: საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მომზადების მაღალი დონე და უმაღლესი კლასის ოსტატობა გამოავლინა.

ჩემპიონატის ბოლო დღეს მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. უკვე დილას ჩატარებულ ნახევარფინალური ორთაბრძოლების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ არცერთი საბჭოთა მოჭიდავე მედლის გარეშე არ დარჩებოდა. ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა ღირსების იქნებოდა ეს მედლები. თითოეულმა ჩვენმა მოჭიდავემ ბოლომდე თავკაცურად იბრძოლა, ყველაფერი გაიღო საოცნებო ტიტულის მოპოვებისთვის.

**მეხიკოს ხალიჩაზე მოპოვებული პირველი „ოქრო" ქართველი სპორტსმენის ვახტანგ ბლაგიძის ანგარიშზე მოდის.** ვახტანგმა ვირტუოზული ტექნიკით, ტემპერამენტითა და გამარჯვებისკენ შეუნელებელი სწრაფვით მოხიბლა მაყურებელი, სპეციალისტები. თბილისელ დინამოელს მდიდარი სატურნირო გამოცდილება არა აქვს, იგი ამ ჩემპიონატის დროს შეხვედრიდან შეხვედრამდე უფრო ტაქტიკურად, გააზრებულად და შემართებით მოქმედებდა და მოსახდენიც მოხდა — ევროპის ჩემპიონის ტიტულს მან მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალიც დაუმატა.

ვახტანგ ბლაგიძე 24 წლისაა. მისი ტალანტი სრულფასოვნად გასულ წელს, სოფიის უნივერსიადაზე გამოჩნდა. თანდათან მოვიდა გამოცდილება და სტაბილურობა, დაიხვეწა და გამდიდრდა ტექნიკური არსენალი. 52 კგ წონის კატეგორიაში მასთან ერთად უძლიერესი ათლეტები გამოდიოდნენ — მსოფლიო ჩემპიონი რუმინელი ჯინგა, ევროპის ექს-ჩემპიონი უნგრელი რაჩი და სხვები. მაგრამ ბლაგიძემ ისინი ჯერ ოსლოში, ევროპის ჩემპიონატზე დაჯაბნა, ახლა კი — მეხიკოში.

ბლაგიძისა და ჯინგას ფინალური შეხვედრა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. მაღალი ტემპი, თვალშეუვლებელი ილეთები, დაუოკებელი სწრაფვა გამარჯვებისკენ — ყველაფერი იყო ამ მიმზიდველ და დრამატულ ორთაბრძოლაში. დასაწყისში რუმინელი მოჭიდავე დაწინაურდა — ორმხრივი შეტევისას ზედიზედ ორჯერ დაასწრო მეტოქეს. შემდეგ ჯინგას დაღლილობა დაეტყო, ბოლო პერიოდში მხოლოდ უპირატესობის შენარჩუნებაზე ზრუნავდა და პასიურობისთვის ორი გაფრთხილებაც მიიღო. ქართველი სპორტსმენი კი სულ უფრო ზრდიდა ბრძოლის ტემპს და შეხვედრის ბოლო წუთზე დაწინაურდა კიდეც — 7:6. ბლაგიძის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ჯინგა თურმე სხვაგვარად ფიქრობდა — უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და ერთი ქულაც დაიმსახურა — 7:7. ეს უკვე რუმინელის გამარჯვებას ნიშნავდა, მან პირველმა შეასრულა ტექნიკური ილეთი. რჩებოდა სულ რაღაც 10 წამი. დროის ამ მონაკვეთში თითქმის შეუძლებელია რაიმეს გაკეთება. მაგრამ ბლაგიძემ შეძლო — მოიგო კიდევ ერთი ქულა! მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა. ჯინგამ ლეიბში ჩარგო თავი...

გასახდელში ბლაგიძეს ჰკითხეს: „იცოდი, რომ ქულა გჭირდებოდა? ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ხომ აზროვნებაც შეზღუდულია..." „დიახ, ვიცოდი და ვგრძნობდი, რომ გავიმარჯვებდი" — უპასუხა ვახტანგმა. მისმა მწვრთნელმა ჯემალ მეგრელიშვილმა კი დაუმატა: „ვახტანგი ხალიჩაზე ჩინებულად აზროვნებს, ყველაფერს ხედავს. ყოჩაღ!"

მეხიკოს ხალიჩაზე ოქროს მედალი კიდევ ხუთმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა. აი ისინიც: **შ. სერიკოვი** (ალმა-ათა, 57 კგ), **ბ. კრამარენკო** (როსტოვი, 62 კგ), **ა. ნიფტულაევი** (მოსკოვი, 74 კგ), **ნ. ბალბოშინი** (მოსკოვი, 100 კგ), **ა. კოლჩინსკი** (კიევი, 100-კგ-ის ზევით). ვერცხლის მედალი დაისაკუთრა **ა. შუმაკოვმა**, „ბრინჯაოს" კი **ა. ალიევი, ვ. ჩებოქსაროვი** და **ვ. ავდიშევი** დაეუფლნენ.

გუნდურ პირველობაში გამარჯვებისთვის საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს **შამილ ხისამუტდინოვს** საზეიმო ვითარებაში გადასცეს დიდი პრიზი. **ჩვენმა გუნდმა 53 ქულა მოაგროვა და საგრძნობლად ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გამოსული რუმინეთის კოლექტივი (36 ქ).** მესამე ადგილზეა ბულგარეთის ნაკრები — 30.

* * *



**ს უ რ ა თ ზ ე:** 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# წინ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი

ცურვა

**დასავლეთ ბერლინში გრძელდება მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი სპორტის საწყლოსნო სახეობებში.**

14 წლის ი. ბოგდანოვას გამარჯვების შესახებ 100 მეტრზე ბრასით ცურვაში უკვე ვიტყობინებოდით. ლენინგრადელის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. მასზე 4 წლით უფროსმა ვ. სალნიკოვმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 3.51,94 აჩვენა, რაც ევროპის რეკორდია. სალნიკოვი პირველია, საბჭოთა თავისუფალი სტილის მოცურავეთა შორის მსოფლიო ჩემპიონობა რომ მოიხვეჭა.

200 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში ჩემპიონი გახდა ამერიკელი ვუდხედი — 1.58,53 (მსოფლიო რეკორდი). II ადგილზე გავიდა კრაუზე (გდრ) — 1.59,78. სსრ კავშირის ახალი რეკორდით (2.01,76) ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა ლ. ცარიოვამ.

100 მეტრი გულაღმა ყველაზე სწრაფად გაცურა ჯეზეკმა (აშშ) — 1.02,55. მეორე იყო ტრაიბერი (გდრ) — 1.03,18, III — კანადელი გიბსონი 1.03,43.

ამავე დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა ამერიკელმა პენინგტონმა — 1.00,20, მეორეა პოლაკი (გდრ) — 1.00,26, III — კანადელი კვირკი 1.01,82.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდით (4.40,83) გაიმარჯვა ამერიკელმა კოლინსმა. II და III ადგილებზე გავიდნენ გდრ-ის მოცურავენი ტაუბერი (4.47,52) და შნაიდერი (4.48,56). მეოთხე იყო მოსკოველი მოსწავლე ო. კლევაკინა — 4.49,16 (სსრ კავშირის რეკორდი).

ვაჟთა შორის 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა მოიგო ამერიკელმა ვასალომ — 4.20,05 (მსოფლიო რეკორდი). ვერცხლის მედალი მოიპოვა კიეველმა ს. ფესენკომ — 4.22,29 (ევროპის რეკორდი).

მეორე ოქროს მედალი მოიპოვა ვასალომ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.02,16. მეორე იყო ახალზელანდიელი ხარინგი — 2.03,71, III — უნგრელი ვერასტო 2.03,90. საბჭოთა მოცურავემ ლენინგრადელმა ვ. კუზნეცოვმა საკავშირო რეკორდით (2.05,58) VI ადგილი დაიკავა.

200 მეტრზე ბრასით ცურვაში პირველი იყო ამერიკელი ნევიდი 2.18,37. საბჭოთა მოცურავე ა. მისკაროვი გამარჯვებულს მცირედით ჩამორჩა — 2.18,42 და ვერცხლის მედალი მიიღო. მეორე საბჭოთა მოცურავემ რ. ჟულპამ V ადგილი დაიკავა (2.20,53).

ამავე დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში ტოლი არ ჰყავდათ ამერიკელებს: ჩემპიონი გახდა ბრუნერი — 1.59,38, ხოლო მეორე ადგილზე გავიდა გრეჲი — 1.59,80, მესამეა გდრ-ის მოცურავე პიტელი — 2.01,33. ფინალში საბჭოთა სპორტსმენმა მ. გორელიკმა მეშვიდე შედეგი უჩვენა — 2.01,95.

4×100 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვა აშშ-ს მოცურავეთა კვარტეტმა (ბაბაშოფი, გაინესი, მონტგომერი, მაკეგი) — 3.19,74. მეორე ადგილზე გავიდა გფრ — 3.26,65, ხოლო III — შვეცია (3.26,95). საბჭოთა კვარ-

(დასასრული მე-3 გვ.).

თანამედროვე ხუთჭიდი



**ს უ რ ა თ ზ ე:** მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი პაველ ლედნიოვი

# უძლიერესი მეოთხედ!

**შვეციის** ქალაქ იონჩოპინგში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში.

მეოთხე სახეობაში — ცურვაში გუნდური გამარჯვება იზეიმეს პოლონეთის სპორტსმენებმა 3628 ქულა. საბჭოთა სპორტსმენები VI ადგილზე გავიდნენ — 3400. პირად ჩათვლაში ცურვა მოიგო პოლონელმა პაცელტმა — 3.19,50 (1292 ქულა). ოთხი სახეობის შემდეგ გუნდურ პირველ ადგილზე პოლონელები იყვნენ 12383 ქულა. საბჭოთა სპორტსმენებს 12239 ქულა ჰქონდათ (III ადგილი). პირად ჩათვლაში ლიდერი გახდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ლვოველი პ. ლედნიოვი — 4243 ქულა, II იყო იტალიელი მასალა — 4215 ქულა.

ხუთჭიდის ბოლო სახეობას — მძლეოსნურ კროსს 4 კილომეტრზე უნდა დაესახელებინა მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა. მანძილი ყველაზე სწრაფად დაფარა ამერიკელმა მ. ბარლეიმ — 12.09,51 (1376 ქულა). ლედნიოვი დისტანციაზე მერვე იყო — 12.49,89 (1255 ქულა). ეს სავსებით საკმარისი გამოდგა, რომ ხუთჭიდში ლედნიოვს 5498,33 ქულა დაეგროვებინა და **მეოთხედ გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონი.**

გუნდური გამარჯვება იზეიმეს პოლონელმა ხუთჭიდელებმა — 16053 ქულა. II ადგილზე გავიდნენ გფრ-ის წარმომადგენლები — 15936 ქულა, ხოლო III — სსრ კავშირის ხუთჭიდელები — 15852. პირად ჩათვლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა პოლონელმა პეჩაკმა — 5446,82, ხოლო ბრინჯაოსი — ამერიკელმა გლენესკმა — 5430,69 ქულა.

პარალელურად მიმდინარეობდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატიც. როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში, გაიმარჯვეს საბჭოთა ხუთჭიდელებმა. **ა. სტაროსტინი** ოქროს მედალს დაეუფლა, ხოლო ვ. ნეფედოვი — ბრინჯაოს.

ასევე ორმაგი გამარჯვება იზეიმეს მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში ქალთა შორის ინგლისელებმაც. მათ პირველი ორი ადგილი (საუკეთესო იყო უ. ნორმანი — 4646 ქულა) და გუნდური გამარჯვებაც მოიპოვეს.

ფეხბურთი

# ყველა გუნდი — პრიზიორი

**დამთავრდა** ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური ტურნირები „ტყავის ბურთის" პრიზზე.

**ზაპოროჟიეში** ასპარეზობდნენ 10-11 წლის ბავშვები აზერბაიჯანის „ხაზარმა" გადამწყვეტი მატჩი დამატებითი პენალტებით მოუგო ერევნის „ლუსაშოღს" და გაინაღდა პირველი ადგილი. მესამე ადგილზე გავიდნენ საქართველოს წარმომადგენლები — „დილას" (თბილისი) ფეხბურთელები.

საშუალო ასაკის (12-13 წელი) ბავშვთა ფინალი გაიმართა **ალმა-ათაში**, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ორჯონიკიძის „სპარტაკი" და თბილისის „განთიადი". ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0. გამარჯვებული ვერ გამოავლინა დამატებითმა დრომაც და საჭირო შეიქნა 11-მეტრიანების დანიშვნა. პირველი სერიის შემდეგ ანგარიში კვლავ ფრე იყო — 4:4. შემდეგ სპარტაკელთა მეკარემ შეძლო ბურთის მოგერიება და I ადგილი ორჯონიკიძელებს დარჩათ — 6:5. მესამე ადგილზე გავიდა „კიაპაზი" (კიროვაბადი).

14-15 წლის ნორჩ ფეხბურთელთა ფინალი გაიმართა **ომსკში**. აქ საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: „სპარტაკი" (მოსკოვი), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „თოლია" (თბილისი).

ამრიგად, საქართველოს წარმომადგენლებმა სამივე ტურნირში საპრიზო ადგილები დაიკავეს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომპლექსის მშენებლობის ფინიშთან

## ეს წვრილმანები როდია

**ახალი** საწყლოსნო კომპლექსი თბილისში ერთის შეხედვით მზად არის სპორტსმენების, მაყურებლების მისაღებად. ახლა სანაპიროზე გამვლელი ძალაუნებურად ჩერდება, რომ თვალის ერთი გადავლებით მაინც შეათვალიეროს ეს დიდებული ნაგებობა.

მართლაც, კარგი რამ გამოვიდა მთავარი არქიტექტორის შ. ყავლაშვილის პროექტის მიხედვით ტრესტ „ინჟმშენის“ № 1 სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს მიერ აშენებული ოთხაბაზანიანი ბაზა, სადაც ერთდროულად შეეძლებათ წვრთნა წყალში მხტომელებს, წყალბურთელებს, მოცურავეებს... აღარას ვამბობთ იმ დახურულ საჭყუმპალაოზე, რომელშიც სულ მალე ნორჩი თბილისელები საწყლოსნო სპორტში პირველ ნაბიჯს გადადგამენ — ცურვის სწავლას დაიწყებენ.

ახლა აქ თბილისელები, დედაქალაქის სტუმრები ყოველდღე ცალ-ცალკე თუ ჯგუფებად მიდიან, ათვალიერებენ და გული სიამით ევსებათ, რომ ჩვენს დედაქალაქს კიდევ ერთი, უნიკალური სპორტული ნაგებობა შეემატება, რომელმაც მნიშვნელოვანწილად უნდა გადაჭრას თბილისში საცურაო აუზებისა და საჭყუმპალოების სიმცირის პრობლემა.

მოდიან და კითხულობენ: როდის გაიხსნება, ვის და როგორ ექნებათ ამ ბაზებით სარგებლობის უფლება, როგორ იმუშავებს, როგორია მისი გამტარუნარიანობა...

შეძლებისდაგვარად ამომწურავ პასუხსაც იღებენ, მაგრამ სურვილს ყველა ვერ იკმაყოფილებს, ვინაიდან ბაზის დირექციას, მშენებლებს და თვით შ. ყავლაშვილსაც კი, რომელიც მუდამ აქ ტრიალებს, სხვა, უფრო დიდი საზრუნავიც აქვთ: დირექცია, ბაზის მთავარ არქიტექტორთან ერთად ყოველდღე გულმოდგინეთ ამოწმებს მოიჯარისა და ქვემოიჯარე ორგანიზაციების ნამუშევარს.

— მე ათ წელზე მეტია მის ხორცშესხმას ველოდი (ყავლაშვილის პროექტის მიხედვით აქ აუზს საფუძველი უფრო დიდი ხნით ადრე ჩაეყარა, მაგრამ მერე ხანგრძლივი დროით დაკონსერვდა) და ახლა მას პირმშოსავით შევხარი. მინდა, რაც შეიძლება მყარი, საიმედო, კოპწია და მოხერხებული გამოვიდეს, — არ მალავს არქიტექტორი.

ამიტომაც იგი განსაკუთრებით ახლა დილიდან გვიან საღამომდე აქ ტრიალებს, ყოველდღიურად რამდენჯერმე დაივლის აუზების შემოგარენს, კაფე-ბარს, სარეაბილიტაციო ცენტრს, ტრიბუნებს, სპორტულსა თუ სხდომათა დარბაზებს, ტერასებს, პრეს-კორპუსს, გასახდელებს, საშხაპეებს... მშენებლებს გაესაუბრება, კარგად ნაკეთებს შეუქებს, ცუდად ნაკეთებს ჩაქუჩით ჩამოუნგრევს და აიძულებს ხელახლა ისე აშენონ, ლესონ, გააწყონ, როგორც საჭიროა.

ხშირად არქიტექტორსა და სამუშაოთა მწარმოებლებსა თუ უბნების უფროსებს შორის დავა იმართება, მაგრამ მტკიცეა ყავლაშვილი, ნაგებობის საზიანოდ არაფერს დათმობს, იცის, რომ ეს სპორტული კომპლექსი დედაქალაქის ფიზკულტურელთა ოცნება იყო და მან არაერთ თაობას უნდა გაუწიოს კეთილი სამსახური. არავინ მალავს — ამ ბაზაზე უნდა გაიზარდონ ახალი ჩემპიონები და რეკორდსმენები წყალბურთში, წყალში ხტომაში, ცურვაში. ამ ბაზამ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს საწყლოსნო სახეობებში საქართველოს სპორტსმენთა მიერ დაკარგული ტრადიციების აღდგენაში.

ბაზის დირექციას სხვა საზრუნავიც აქვს. დირექტორი ვ. გოიაშვილი, მისი მოადგილეები, წარსულში ცნობილი მოცურავე ი. ფუნიკოვი და რ. ხუნწარია სხვებთან ერთად, საერთო ძალით სპორტული კომპლექსის ხარისხიანი ინვენტარით აღჭურვისთვის ზრუნავენ. ვაჭრობის, ჯანმრთელობისა და სხვა სამინისტროები მუდამ მხარში უდგანან ახლადშექმნილ კოლექტივს...

— წამობრძანდით, თქვენ თვითონ ნახეთ, — გვეუბნება გოიაშვილი და კაფე-ბარისკენ მიგვიძღვება, — ერთ საათში აქ მშენებლობის შტაბის მორიგი შეკრება შედგება, — გვიხსნის, როცა გრანიტის იატაკიან, მოხერხებული ავეჯით გაწყობილ კაფე-ბარში შევედით.

კაფე-ბარისა და სხდომათა დარბაზის შემაერთებელი ფოიე დაუმშვენებია შესანიშნავ პანოს, რომელიც კომპლექსის სულით სუნთქავს, მასზე აღბეჭდილი მოცურავეები ტალღებს მძლავრად მიაპობენ. პატარა, მაგრამ კოხტაა სხდომათა დარბაზი, სულ 160 ადგილით. კარგ, რბილ სკამებს ახლა ამონტაჟებენ, სხვა დანარჩენი თითქმის მზადაა.

— მეტი საჭირო არაა, ჩვენს საერთო საცხოვრებელში დაახლოებით 60 ადგილი იქნება, ეს დარბაზი კომპლექსის კონტინგენტს მუდამ დააკმაყოფილებს, — გვეუბნება გოიაშვილი და სარეაბილიტაციო ცენტრისკენ მივეშურებით. დერეფნებში, ოთახებში მკვრივად შეკრული ათობით ყუთი ალაგია.

— დანადგარებია, — ამბობს მეგზური.

...ამას წინათ ვწერდით, რომ თბილისში გამართულ წყალში მხტომელთა საკავშირო თასის გათამაშების მონაწილენი იყვნენ აქ.

სპეციალისტები ნანახით კმაყოფილნი დარჩნენ, აღტაცება არ დაუმალავთ: ასეთი კომპლექსი ჩვენს ქვეყანაში პირველიაო. მხედველობაში მარტო აბაზანები კი არა, შიდა დარბაზებიც გვაქვსო, თქვეს და მშენებლებს ბაზის მალე საექსპლოატაციოდ გადაცემა უსურვეს.

მაგრამ ყველაფრის ნახვა ვერ მოახერხეს, ზოგან კარი იყო დარაზული, არც დრო ჰქონდათ იმდენი, თორემ მათ თვალს ალბათ არ გამოეპარებოდა ის ათასი წვრილმანი, რაც აქ მშენებლებს ჯერ კიდევ გასაკეთებელი თუ გამოსასწორებელი აქვთ და, რაც სახელმწიფო მიმღებ კომისიას უფლებას არ აძლევს ჩაიბაროს ნაგებობა.

ნუ გვიწყენენ მშენებლები თუ ვიტყვით, რომ მათ საექსპლოატაციოდ მიღებული ნაგებობების ბედი (თუნდაც სახელმწიფო კომისიის აქტში ხარვეზები გარკვევით იყოს აღნიშნული) შენობის ჩაბარების მერე ნაკლებად აწუხებთ (ასე იყო „დინამოს“ სტადიონზე, ასე იყო ტრეკზე, მძლეოსნურ მანეჟზე).

— მაინც, როგორ ფიქრობთ, როდის მოხდება კომპლექსის საზეიმო გახსნა? — ვეკითხებით მასპინძლებს. დირექტორი მხრებს იჩეჩავს.

—ვფიქრობ, ორ-სამ კვირაში! — ამბობს დაურწმუნებელი კაცის იერით, — დაესწარით შტაბის სხდომას, იქ უკეთ გაიგებთ!

მშენებლობის შტაბის მორიგი სხდომისთვის სწორედ კაფე-ბარში შეგროვდნენ, მაგრამ... სხდომა ჩაიშალა, რადგან არც გამწვანების ტრესტის, არც „პრომვენტილაციის“ სამმართველოსა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვისთანაც მშენებლობისა თუ კეთილმოწყობის თაობაზე პრეტენზიები ჰქონდათ, არ გამოცხადდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ფინიშთან მისულ საქმეს გულგრილად ეკიდება.

ცხადია, მშენებლობის შტაბის სხდომის ჩაშლით ყველაზე უხერხულ მდგომარეობაში ისევ ამ შტაბის უფროსი, ტრესტ „ინჟმშენის“ მთავარი ინჟინერი თ. ებრალიძე ჩავარდა, რადგან რიგი საკითხებისა, რომლებიც ამ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო, სულ ცოტა, ერთი დღით მაინც გადაიდო და, მაშასადამე, ბაზის საზეიმოდ გახსნის ვადამაც ამავე დროით გადაიწია. გადასაწყვეტი საკითხი კი თურმე საკმარისზე მეტი იყო.

კაფე-ბარიდან უკმაყოფილო გრძნობით გამოსულმა ისევ შ. ყავლაშვილი დავიმარტოხელე.

— ახლა თქვენზე უკეთესად ვერავინ მეტყვის ამ კომპლექსის ხვალინდელ დღეზე, განსაკუთრებით რა აფერხებს მისი საექსპლოატაციოდ დროულად ჩაბარებას?

— აქ ყველაფერს წაიკითხავთ, — მომიგო და მომაწოდა 12 აგვისტოს შედგენილი დარჩენილი შეუსრულებელი სამუშაოებისა თუ უხარისხო ნაკეთობათა ნუსხა, რომელიც რამდენიმე გვერდისაგან შედგებოდა და ასამდე პუნქტს შეიცავდა.

მებევრა, მაგრამ თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში გულმოდგინედ ვკითხულობდი. ამ ნუსხაში ყველანი — მოიჯარე და ქვემოიჯარე ორგანიზაციები მეტნაკლები ბრალდებით იყვნენ წარმოდგენილნი.

განსაკუთრებით ბევრი რამ ჰქონიათ მოსაგვარებელი „ინჟმშენსა“ და „საქსპორტრემმშენს“. „ინჟმშენს“ იმის გარდა, რომ თვითონ ყველაფერზე პასუხისმგებელია, უშუალოდ პირად დავალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შესასრულებელი აქვს. ჩამორჩება № 1 და № 2 საბოილეროების, საბაზანოთა ირგვლივ ტექნიკური დერეფნისა და ტერიტორიის, მთავარი შემოსასვლელების, კოშკისა და სხვათა მოწყობაში.

მთავარი არქიტექტორი „საქსპორტრემმშენს“ საშხაპეებსა და გასახდელებში, ვენტილაციის ოთახში, ფოიეში, სპორტდარბაზში, მთავარ დერეფანში, ცურვის მცირე დარბაზში, საერთო საცხოვრებელში, კონდიციონერის დარბაზში... სამუშაოთა დაუმთავრებლობას ედავება; გამწვანების ტრესტს — კომპლექსის ტერიტორიის გამწვანების შეფერხებაში; სანტექნიკოსებს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის, გათბობის სისტემაში ათობით ხარვეზზე მიანიშნებს.

„პრომვენტილაციის“ სამმართველოს ოსტატთა მისამართით ნუსხაში 13 შენიშვნა დავითვალეთ. ასე გასინჯეთ, ვაჭრობის და ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოების ოსტატებიც ვერ გადარჩნენ, თუმცა, როგორც აქ აღიარებენ, მათ ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვთ, მაგრამ მათ ნახელავსაც წუნის დაღი აზის.

— თუ მოინდომებენ, ამ ნაკლს 3-4 დღეში გამოასწორებენ და ოთახებში დანადგარების დამონტაჟებასაც წინ აღარაფერი უდგას — გვიხსნიან.

ქალაქის საბჭოს სარემონტო-სამშენებლო ტრესტისა და სამხატვრო ფონდის (იგი გარე პანოს აკეთებს) სპეციალისტებსაც არ აწყენდათ ტემპის დაჩქარება.

— ყველაფერი ეს წვრილმანია, — ერთხმად ამბობენ აღნიშნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მაგრამ ათასი წვრილმანი ცოტა როდია. და ისინი ახლავე, დროულად უნდა გამოსწორდეს, რომ ქალაქმა, რესპუბლიკამ მიიღოს უნაკლო სპორტული ნაგებობა.

**თ. ბელაშვილი.**

# კარგი თაოსნობა

**კარგი** თაოსნობა გამოიჩინეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამტრედიის № 2 ტრესტმა (მმართველი ა. დახუნდარიძე) და სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რაისაბჭომ, რომლებმაც დააწესეს ცნობილი ფეხბურთელის შ. იამანიძის თასის გათამაშება წარმოება-დაწესებულებათა გუნდებისთვის.

ჯილდო მოიპოვეს ხისდამამუშავებელი კომბინატის (დირექტორი ვ. კოპალეიშვილი, ფიზკულტურის მეთოდისტები ი. ყურუაშვილი, ა. ჯალაღანია) ფეხბურთელებმა.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

# საჩუქრად ოჩამჩირელ სპორტსმენებს

**კარგი** საჩუქარი მიიღეს ფიზკულტურის საკავშირო დღეს ოჩამჩირელმა სპორტსმენებმა — მწყობრში ჩადგა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ინიციატივით აშენებული ახალი სპორტული დარბაზი, რომლის ზომაა 36×18 მ და 300 მაყურებელს იტევს. იგი განკუთვნილია ტანვარჯიშისთვის, სპორტული თამაშებისა, ჭიდაობისა და კრივისთვის. დარბაზს აქვს ორი საშხაპე, გასახდელები, ექიმისა და სხვა კაბინეტები.

დარბაზი ააშენა საქართველოს სოფლის მშენებლობის სამინისტროს № 41 მოძრავ-მექანიზირებულმა კოლონამ. შრომაში თავი გამოიჩინეს სამუშაოთა მწარმოებელმა ვ. ინალიშვილმა, ოსტატმა [illegible] ქიშმარიამ, ბრიგადირმა ლ. გვალი[illegible]ამ, დურგლებმა ნ. კისელიოვმა, [illegible] მალანიამ, ვ. ზაქარაიამ, ელექტრომემდუღებელმა ნ. ერუშენკომ, მებეტონეებმა ა. ადონიამ, დ. მარკელიამ, მლესავებმა პ. პოპოვმა, [illegible] გოგუამ, ამწემექანიზმის მემანქანე ა. უზუნიამ.

**გ. დოლენჯაშვილი.**

* * *

სურათებზე: მშენებლები; დარბაზის შიდა ხედი.

ავტორის ფოტოები.

# წოდებათა მინიჭება

მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებაში ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს სპორტკომიტეტმა „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიანიჭა:

მოტოსპორტში — თ. ლ. ზა[illegible]ბაშვილს (თბილისი, დოსააფი);

წყალში ხტომაში — ა. ა. ბარ[illegible]თაიას (თბილისი, განათლების სამინისტრო);

ფეხბურთში — ა. ა. გრძელიძეს (გალი, „სპარტაკი“), ქ. ა. ნაზაროვს (რუსთავი, „განთიადი“);

თანამედროვე ხუთჭიდში — [illegible] ზალდასტანიშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი“).

[illegible]

## წყალტუბო

„სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს ფეხბურთელთა პირველობაში 13 გუნდი მონაწილეობდა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „საქკომრემმშენის“ სამშენებლო სარემონტო უბნისა და კურორტვაჭრობის განყოფილების გუნდები. მშენებლებმა გაიმარჯვეს — 1:0. მესამე ადგილი წილად ხვდა ბრო[illegible]ლის ქარხნის გუნდს. საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი მიენიჭა [illegible] ბერაძეს (კურორტვაჭრობა), რომელმაც მეტოქეთა კარში 14 გოლი გაიტანა.

**ვ. ფაილოძე,**
„სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

დასასრული

ტეტი (ს. კრასიუკი, ა. ავტუშენკო, ა. კრილოვი, ს. კოპლიაკოვი) ფინალს მიღმა დარჩა და მეცხრე შედეგი აჩვენა —3.31,36.

ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს 200 მეტრზე ბრასით ცურვაში საბჭოთა ქალებმა: 15 წლის ვილნიუსელმა მოსწავლემ **ლ. კაჩიუშიტემ** არამც თუ გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატში, არამედ მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 2.31,42. მეორე იყო საბჭოთა მოცურავე, 14 წლის ლენინგრადელი მსოფლიოს ჩემპიონი ი. ბოგდანოვა — 2.32, 69. საინტერესოა, რომ კაჩიუშიტემ დღის მანძილზე ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი: ერთხელ წინასწარ გაცურვაში (2.33,11), ხოლო შემდეგ — ფინალში.

* * *

**სურათზე:** იულია ბოგდანოვა ასპარეზობისას.



## წყალბურთი

საბჭოთა სპორტსმენებმა ნახევარფინალში გასასვლელად ორი შეხვედრა ჩაატარეს: ამერიკელებთან წააგეს (2:3), ხოლო რუმინელებს მოუგეს (5:0) და ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს.

## წყალში ხტომა

ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა ამერიკელი ბოგსი — 913,95 ქულა, II ადგილზე გავიდა გდრ-ის სპორტსმენი ჰოფმანი — 873,33, III — იტალიელი კანიოტო 845,51. საბჭოთა სპორტსმენი ა. კოსენკოვი მეოთხე ადგილს დასჯერდა — 840,27. სსრ კავშირის ჩემპიონი ს. კუზმინი უხეიროდ ასპარეზობდა და მხოლოდ X ადგილი დაიკავა.

# დრო არ გვყოფნის, მამებო!

**ერთი ორი** დღეც და სექტემბრის ზარი ჩამოჰკრავს. ჩემები, თქვენები, ათასობით ზურგჩანთამოკიდებული ბავშვი გაუდგება სკოლის გზას. საათობით მერხთან, დაფასთან, წიგნებთან... და ასე მომავალ ზაფხულამდე.

ერთი ორი დღეც და საღამოობით სამსახურიდან შინ მობრუნებულს პატარა მაგიდასთან თავდახრილი ჩემი ბიჭის გაჩხიკნული ზურგი მომხვდება თვალში. სინანულის მაგვარი გამივლის — ეს წელიწადიც უსპორტოდ, უვარჯიშოდ უნდა გალიოს.

არადა, რა გეგმები მქონდა, რას არ ვფიქრობდი. დილაობით ერთად ვივარჯიშებთ-მეთქი, ტანვარჯიშზე ან ცურვაზე ვატარებ, კერკეტი კაკალივით გახდება, არც ჯანი ეკლება, არც შესახედაობა. ასე ვფიქრობდი, ჯერ კიდევ მაშინ, რამდენიმე სიტყვა რომ ჰქონდა ნასწავლი, ძლივძლივობით რომ დაბაჯბაჯებდა ოთახიდან ოთახში.

აი ამ გაზაფხულიდან, აი სექტემბრიდან... გაზაფხულიც გადიოდა, შემოდგომაც, მერე სკოლაშიც წავიდა... თითქოს უკვე დრო იყო, თითქოს მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა...

თანდათან იმატა დარდმა. ჯერ ეს ქალაქის ჰაერი, მერე ამოდენა წიგნები, დავალებები, ახალი, გართულებული პროგრამა. გაუძლებს კი ერთთავად სახლში, მერხებს შორის ტრიალით, მხოლოდ წიგნებისა და რვეულების ანაბარა დარჩენილი? რა გამოვა, როგორ იქნება. აღმართებსა და დაღმართებს ვინ ჩივის, იქნებ სწორ გზაზეც ვერ შეიძლოს სიარული. ანდა ვინ დაუფენს ია-ვარდს, სადამდე ივლის ხელჩაკიდებული?

ახლა მეოთხე კლასშია, მეტსაც მოსთხოვენ და მეტიც დასჭირდება. ამ გაზაფხულზე როგორც იქნა მივიყვანე აუზზე. ორი კვირის შემდეგ აგარაკზე უნდა წაეყვანა ბებიას. ლაპარაკში და ყოყმანში ეს ორი კვირაც გავიდა და სექტემბრიდანო. ეს სექტემბერი კი, აგერ ერთი-ორი დღეც და აქვეა.

ერთმა ნაცნობმა შემომჩივლა, ცურვის სექციაში არ მიიღესო ჩემი ბავშვი. მეორემ სხვა რაღაც მოიმიზეზა. მესამემაც, მეოთხემაც... მერე მოვდგებით და ყველა ერთად ავიტეხთ: აუზები არ გვყოფნის, მოედნები ცოტაა, ბურთები არ არის, ინვენტარი, ინვენტარი... და ასე გაუთავებლად...

დრო არ გვყოფნის! ყველა წუთი ჩვენი საქმეებისთვის გვინდა, ან არადა, რაღაც უცნობი ქვა შეგვიძვრება — ბავშვს სირბილზე როგორ დავახარჯვინო დრო, ათას რაღაცას ვდებით, ჭკვიანები, ძალიან ჭკვიანები გვინდა გამოვიდნენ ჩვენი შვილები! ბოლოს ეს სურვილიც გაიცრიცება და ჩვეულებრივი გონებრივი გაქანებისა და არაჩვეულებრივად სუსტი, კაცური საქმისთვის უვარგისი უშნოდ აწოწილი ან ზედმეტი ხორცისგან გალექებული გვარის გამგრძელებელი შეგვრჩება ხელში. ჩვენ კიდევ ჩვენი სიყვარული, მშობლის სიყვარული გვათმენინებს, თორემ ვის რაში სჭირდება, ვის გამოადგება?

მესამე კლასში ვიყავი. ტანვარჯიშის სექციაში ჩავეწერეთ ბიჭები. ერთხანს კი ვიარე და, მერე მუსიკაში გიშლის ხელსო, გაკვეთილებს ვეღარ ასწრებო, დამანებებინეს თავი. მერე ცურვაზეც ვიარე. ისევ მუსიკა გადამეღობა. უფრო სწორად, ისევ მშობლები — ხელს გიშლისო. ორი თუ სამი წლის შემდეგ ავდექი და ამ შენს მუსიკასაც დავანებე თავი, მშვენივრად ვგრძნობდი, რა მოცარტიც დადგებოდა ჩემგან.

იმ ჩემს ნაცნობსაც ხელზე დაუხვევია „არ მიიღესო“, თორემ სექციებიც საკმარისად არის, სარბენსა და სათამაშო ადგილს კი კაცი ყოველთვის იპოვნის.

დრო არ გვყოფნის, მამებო, დრო! ჩვენივე შვილებისთვის, მათი ხვალინდელი დღისთვის.

ცოტაც და ეს სექტემბერიც მოვა. ენახოთ ერთი რა გამოვა ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებიდან.

არადა, კარგად ვიცი, გავა ერთი ათი წელიწადი, გაივლის ქუჩაში ჩემი ბიჭი, ნაბიჯი არეული ექნება, წელი მოღუნული, იქნებ პატარა ღიპიც იშოვნოს მანამდე, გაივლის და არც გოგონებს დარჩებათ თვალი, არც სხვის თვალს გაახარებს, არც არაფრის ხალისი ექნება, არც შეძლება. კაცი ვერ იტყვის, სადამდე ,ან როგორ შეძლებს ასე სიარულს.

ამ სურათის წარმოდგენაზე ისევ მემატება დარდი, ისიც ვიცი — თავს ვიტყუებ, როცა მეჩვენება, რომ მართლაც არ მყოფნის დრო.

**სოსო ერთელიშვილი,**
ინჟინერი.

**წერილი რედაქციას**

**წერილი**, რომელიც პროფესიული კრივის ისტორიის კონკრეტულ ფაქტებსა და დოკუმენტებს ეყრდნობა, „ლელოსთვის“ მოამზადა საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარემ **ე. გიორგაძემ.**

# პროფესიული კრივის ჯუნგლებში

**პროფესიულ** კრივში ლამის ტრადიციად დამკვიდრებულ ნაირგვარ მახინჯ ფაქტებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ამის სათავეები ჯერ კიდევ „შიშველი მუშტებით ორთაბრძოლის ხანაში“ ძევს.

ცნობილმა მოკრივე ჯეიმს სულივანმა, ერთხელ ასეთი ყოვლად უმგვანო ფანდი იხმარა: როცა მიხვდა, რომ აგებდა ბრძოლას ბილი ბელისთან, ხმამაღლა დაიძახა — საკმარისიაო. ბელიმ იფიქრა, სულივანი მნებდებაო, ზურგი შეაქცია მას და თავისი კუთხისაკენ გაემართა. მაშინ სულივანმა მთელი ძალით (მას საშინელი დარტყმა ჰქონდა) ჩასცხო მუშტი კეფაში და ბელი ძირს დასცა. რინგზე ასეთი ამბები კრივის ისტორიის შემდგომ პერიოდშიაც ხდებოდა.

„მისტერია“ ბილი სმიტისა და „გიგანტთა მმუსრავი“ ჯო უოლკოტის მატჩის დროს ამ უკანასკნელმა მსაჯს შესჩივლა, სმიტის მუშტი ისე მაგრად მხვდება, ეჭვი არაა ხელთათმანში ნალი უდევსო. უოლკოტი ადრეც შეხვედროდა სმიტს და საკუთარი გამოცდილებით იცოდა რომ „მისტერიას“ სულაც არ ჰქონდა უროსავით მძიმე მუშტი. მსაჯმა ყურად არ იღო ეს განცხადება, ბრძანა ბრძოლა გაეგრძელებინათ. უოლკოტმა სახის არაერთი მძიმე დაზიანება მიიღო. მატჩის მერე გამოირკვა, რომ ბილი სმიტს ხელები სველ ცემენტში ჩაელბო და შემდეგ შეეხვია ბინტით.

ჯო ჩოინსკიმ პიტერ მეერთან თავისი მატჩის წინ შეიტყო, რომ მეტოქეს ხელებზე დაეხვია ლამის ხუთი მეტრის სიგრძის ბინტი. ჩოინსკიმ პროტესტი განაცხადა, რომელიც არ შეიწყნარეს. რაღა ჩარა ჰქონდა, ჩოინსკი გამოვიდა რინგზე და წააგო კიდეც ნოკაუტით.

კრივის უბადლო ტაქტიკოსად აღიარებული ჯინ ტუნეი, რომელიც ყოველგვარი ვითარებიდან პოულობდა გამოსავალს, ერთხელ ძალზე შეპირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთ-ერთი მატჩის დროს მოწინააღმდეგე მას თავურს ურტყამდა. ტუნეიმ რამდენჯერმე მიმართა მსაჯს, მაგრამ ამ უკანასკნელმა დიდი მოკრივის სამართლიან საჩივარს ყური არ უგდო. მაშინ ტუნეიმ ეშმაკობა იხმარა. ყასიდად ისე იქცეოდა, თითქოს ეპირებოდა თითი გაექნია თვალში მეტოქისათვის, თუკი იგი თავისას არ მოიშლიდა. მხოლოდ ამ ხერხმა გასჭრა და ტუნეის მიეცა საშუალება ბრძოლა წესისა და რიგისამებრ წარემართა.

ასე უდიერად ირჯებიან ხოლმე პროფესიულ რინგზე მოკრივენი, მაგრამ მათ არც მსაჯები ჩამორჩებიან:

გერმანელი მოკრივე გუსტავ შულცისა და ინგლისელი მულატის ალექს ბაქსტონის შეხვედრისას რეფერი გახლდათ მაქს პიპოვი, რომელიც დიდად იყო მოწადინებული მის თანამემამულეს გაემარჯვა.

როცა შულცი იატაკზე გაიშოტა, პიპოვი იმდენად ნელა ითვლიდა, რომ დამსწრე საზოგადოებას ხარხარი აუტყდა. ბოლოს კი ისეთი რამ ჩაიდინა, რაც ანეგდოტს უფრო ჰგავდა. როცა შულცი მეცხრე თვლაზეც ვეღარ ადგა, პიპოვმა მშვიდად განაგრძო თვლა და მანამ არ შეუწყვეტია, სანამ გერმანელი მოკრივე გონს არ მოვიდა და არ წამოდგა.

დასავლეთგერმანელი ბიუტი უოლერსისა და ამერიკელი ზანგის რენდი სენდაიმის შეხვედრისას პიპოვმა უოლერსის მხარი დაიჭირა. ამერიკელი აშკარად ჩაგრავდა გერმანელს და ძირს დასცა კიდეც. პიპოვმა დაითვალა თხუთმეტამდე, მაგრამ როცა საქმეს ამანაც არ უშველა და უოლერსი ვერც და ვერ ადგა, მაშინ პიპოვმა დისკვალიფიკაცია უყო სენდაიმს, ვითომდა არასწორი დარტყმისათვის.

ჰამბურგში ფრანგი ანდრე დრილესა და ჩვენთვის უკვე ცნობილი ბიუტი უოლერსის შეხვედრის დროს პიპოვის ნაცვლად (რომელმაც ნდობა დაკარგა) რეფერი გახლდათ ვინმე ტომსერი. ამ მატჩის დროს უოლერსი ნოკაუტში ჩავარდა. ტომსერმა დათვალა თვრამეტამდე, მერე კი გონგიც დაკრეს, ხოლო შესვენება, რომელიც წესისამებრ ერთ წუთს არ აღემატება, გააგრძელა 7 წუთსა და 18 წამამდე, ვიდრე უოლერსი გონს მოეგებოდა. თუმცა საქმეს ამანაც არ უშველა.

ცუდად ირჯებიან მენეჯერებიც. მარტი ჰომპერი მძიმე წონის მოკრივე ნატან მანს ამზადებდა დიდი ბრძოლისათვის ჯო ლუისთან, ბადი ბართან და ტონი გალენტოსთან შესახვედრად. მანი არ იყო ამ მოკრივეთა კლასისა, მაგრამ ჰომპერმა, რომელიც განგსტერი დატჩ შულცის ერთგული მცველი გახლდათ, მოისყიდა არა ერთი მოკრივე და ნოკაუტით მოაგებინა თავის რჩეულს. ასევე შეუთანხმდა იგი ძლიერ მოკრივეს ედ მაკკოის, მაგრამ მაკკოიმ დაარღვია შეთანხმება და პირველსავე რაუნდში იატაკზე გაშოტა მანი. რეფერიმ დათვალა „რვა“, მანი კი ვერ დგებოდა. მაშინ ჰომპერი მივარდა ქრონომეტრისტს, წაგლიჯა ჩაქუჩი და შემოკრა გონგს. მანი მეორე რაუნდშიც ძირს გაშოტეს და ჰომპერმა კვლავ მოახერხა შემოეკრა გონგისთვის. რა თქმა უნდა, ნატან მანმა მაინც წააგო ნოკაუტით.

პროფესიული მოკრივენი ხშირად თავს არ იზოგავენ ფულისთვის, რაც მათთვის ზოგჯერ საბედისწეროც ხდება.

პუერტორიკოელი პროფესიული მოკრივე ტომი პაჩეკო, რომელიც ნიუ-იორკში გამოდიოდა, მენეჯერმა ელვინ ბაკმენმა მალულად გაგზავნა კანადაში, სადაც პაჩეკომ სხვა მოკრივის ნაცვლად ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა. პაჩეკო იქიდან ჯანგატეხილი დაბრუნდა და მალე მოუწია გამოსულიყო საკუთარი სახელით. იგი გამოვიდა კიდეც რინგზე საბრძოველად, მაგრამ ვეღარ გაუძლო არაადამიანურ დატვირთვას, მე-10 რაუნდში ნოკაუტი მიიღო და სამი დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ჰამბურგელმა ვაჭარმა-მენეჯერმა რეინჰოლდ ტომფორტმა, როცა მოკრივე ალბერტ ვესტფალს ამერიკაში ამგზავრებდა, ინტერვიუში განაცხადა: მე ვიცი ჩემი მოკრივე უკლებლივ ყველა ბრძოლას წააგებს, სამაგიეროდ გამძლეა და ფულს ბევრს მოვიგებთ.

ვესტფალი შეხვდა ლისტონს და რამდენიმე წამში ისეთი მძიმე ნოკაუტი მიიღო, რომ ორი საათის შემდეგ ექიმებმა ძლივს მოიყვანეს გონს. იგი დაავადდა. ტომფორტმა მას „რევისურის“ (რეკლამის, ტრანსპორტის, საწვრთნელი ბანაკის და სხვა ხარჯების) დიდი თანხა დაუქვითა. ასე რომ ვესტფალს სამკურნალოდ გროშიც აღარ დარჩა.

დიდი ხანია საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს ის ამბავი, რომ მაფია ერევა პროფესიული კრივის საქმეებში. „კოზა ნოსტრა“ (ჩვენი საქმე) 24 „ოჯახისაგან“ შედგება, რომელთაგან თითოეულს სათავეში უდგას „კაპო“ (მეთაური) და „სოტოკაპოები“ (კაპოს ხელქვეითნი). ჰყავდა აგრეთვე, „ჯარისკაცებიც“. ამ უზარმაზარ ობობას ქსელს ძნელად თუ წაუვა საკბილო. სექციის დამაარსებელმა ალ კაპონემ და ვიტო ჯენოვეზემ პროფესიული კრივი თავიანთ შემოსავლის წყაროდ აქციეს. არც მათი უახლოესი ამფსონები ფრენკი კარპო, ბლინკი პალერმო თუ სხვანი აკლებდნენ ხელს.

აი, რა მოუთხრო ცნობილ ჟურნალისტ ანტონიო ჩიფარიელოს ერთმა რიგითმა მაფიოზმა: ახლა მხოლოდ მძიმე წონის მოკრივეებს ვეძებთ. გამოვძებნით ხოლმე ჯანიან ყმაწვილს, გაუკეთებთ რეკლამას, მოვაგებინებთ რამდენიმე მატჩს, მერე კი მის წინააღმდეგ გამოვუშვებთ ნამდვილ, ოღონდ ფართო საზოგადოებისათვის ჯერჯერობით უცნობ მოკრივეს. მაყურებლის უმრავლესობა სანაძლეოს დებს კუნთებიანი ათლეტის სასარგებლოდ. ჩვენ კი პირიქით. რამდენიმე ასეთი გამოსვლა და ჰერკულესი საწყალად იქცევა, მერე კი მას თავიდან ვიშორებთ.

ვაი მას, ვინც გადუვა მაფიის ნებას. მსოფლიო ჩემპიონმა საშუალო წონაში დან ჟორდანმა უარი თქვა მაფიის მოთხოვნაზე, გაეღო თავისი ჰონორარის ნაწილი. მას დაემუქრნენ. პოლიციამ გამოუყო დამცველები, მაგრამ ჟორდანმა ეს ითაკილა და მარტო გავიდა ქუჩაში. იგი სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ცემით.

ცნობილი მოკრივე ბილი ფოქსი ჩაითრიეს ბლინკი პალერმომ და ფრენკ კარბომ, მაგრამ შემდეგ ბილი ფოქსი გონს მოეგო და წინ აღუდგა მათ. ამის სამაგიეროდ მას აეკრძალა რინგზე გამოსვლა. შემდეგ კი ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში მათხოვრობდა.

ერთხელ ბლინკი, პალერმოს ვაჟი ქუჩაში მიდიოდა. უეცრივ მას ეტაკა ვიღაცა მამაკაცი, რომელსაც მოკრივის შესახედაობა ჰქონდა და ცემა დაუწყო. ყმაწვილს შორიახლო ადევნებულმა სამმა ბრგე ვაჟკაცმა (პალერმოს ვაჟის დაცვამ) მყის ტყვიებით დაცხრილა იგი. ეს ადამიანი აღმოჩნდა ერთი რიგითი მოკრივე, რომელიც პალერმომ და კარბომ მრავალს აბეგვინეს რინგზე, მერე კი როცა დაუძლურდა, თავიდან მოიშორეს. ქუჩაში მიმავალი, ბილი ფოქსივით გაუბედურებული მოკრივე, როგორც ჩანს თავის გამწარებულ ცხოვრებაზე ფიქრობდა და როცა პალერმოს ვაჟი დაინახა, ჯავრი მასზე იყარა, თუმცა ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მაფიამ ამ საქმის მიფუჩეჩებაც მოახერხა.



ალ კაპონეს სიძის, ჯეკ დაიმონდის (მას ცოლად ჰყავდა „კოზა ნოსრას“ მოთავის და) ბანდამ იმსხვერპლა ცნობილი მოკრივე, სანეგალელი ზანგი, ლუი ფალი. მას ქუჩაში დაახალეს ტყვიები.

რაღა თქმა უნდა, მაფიის ხელი ურევია სონი ლისტონის საიდუმლოებით მოცულ სიკვდილშიც. იმ ჩარლზ სონი ლისტონისა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაფიასთან და რომელმაც კრივში ნათლობა სწორედ ციხეში მიიღო. იგი გაწვრთნა მექსიკელმა სისხლის სამართლის დამნაშავემ, ყოფილმა მსუბუქი წონის მოკრივემ, ჯო გონზალესმა. სახელიც „სონი“ სწორედ მან შეარქვა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ჩემპიონის ინტერვიუ ჩემპიონატის წინ

# „ჩემი მთავარი მეტოქე იქნება"

„**ITALIELI** სარა სიმეონი, რომელმაც ახლახან გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში, უეჭველად ჩემი მთავარი მეტოქე იქნება პრაღის ევროპის ჩემპიონატში", — თქვა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა როზემარი აკერმანმა (გდრ).

გერმანელმა სპორტსმენმა, რომელმაც მსოფლიოში პირველმა გადალახა ფანტასტიკური ზღვარი (2 მეტრი), წლეულს მხოლოდ ორ საერთაშორისო შეჯიბრებაში აიღო სტარტი. ზამთარში გადატანილმა სერიოზულმა ოპერაციამ შეუშალა მას ხელი ვარჯიშის მთელი პროგრამის შესრულებაში. პირველ სტარტზე აკერმანმა 194 სმ სიმაღლე დაძლია და გამარჯვებას მიაღწია მეგობრობის მატჩზე. სსრ კავშირის, გდრ-ისა და პოლონეთის მძლეოსანთა ტრადიციულ შეხვედრაში კი მისი შედეგი იყო 195 სმ. ვილნიუსის ასპარეზობის შემდეგ იგი კვლავ დაშავდა, მაგრამ იმედოვნებს მოასწრებს „ფორმაში შესვლას" ევროპის პირველობისთვის, სადაც მან უნდა დაიცვას, ოთხი წლის წინათ რომში მოპოვებული ჩემპიონის წოდება.

მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი დაიბადა 1952 წელს ქალაქ ლოზაში. 11 წლის წინათ იგი პირველად მივიდა მწვრთნელ ერხარდ მაკთან, ამ უკანასკნელის ყურადღება მიიქცია გოგონას მოხდენილობამ და მოძრაობის ბრწყინვალე კოორდინაციამ. ბავშვობაში როზი ბალერინობაზე ოცნებობდა და საბალეტო სტუდიაში სწავლობდა. მოგვიანებით, იქ შეძენილი მოქნილობა და კოორდინაცია დაეხმარა მას მსოფლიო კლასის სპორტსმენი გამხდარიყო.

როზემარი მიუნხენის ოლიმპიადის დებიუტანტი იყო. იქ იგი ქალიშვილობის გვარით (ვიტჩასი) გამოდიოდა. მაშინ მან VII ადგილი დაიკავა (185 სმ). „ეს შედეგი ჩემი შემდგომი პროგრესის სერიოზული სტიმული გახდა", — ასე შეაფასა სპორტსმენმა თავისი გამოსვლა. მას შემდეგ მან ოთხჯერ მოიგო გდრ-ის ჩემპიონატი სიმაღლეზე ხტომაში, სამჯერ — ევროპის ზამთრის პირველობა.

თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი (194 სმ) სპორტსმენმა 1974 წლის 24 აგვისტოს დაამყარა და მას შემდეგ 5-ჯერ შეიტანა შესწორება რეკორდების ცხრილში. შარშან 25 აგვისტოს დასავლეთ ბერლინში აკერმანმა 2 მეტრი სიმაღლე გადალახა. „ყველაფერი კარგად გამომივიდა იმ ნახტომში. გარბენიც, თამასაზე გადავლებაც სრულყოფილი იყო. ვამაყობ, რომ მსოფლიოში პირველმა დავძლიე ორი მეტრი, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ზღვარი არ არის.

— მეტოქეთა უმრავლესობა „ფოსბიურის" სტილით ხტება. მე კი ჩემი მონაცემების (სიმაღლე — 175 სმ, წონა — 59 კგ), გამო უპირატესობას ვანიჭებ „გადავლებით" ხტომას, რომლის დაუფლება უფრო რთულია.

— ახლა ძნელია თქმა, შევძლებ თუ არა ასპარეზობას ოლიმპიადა-80-ზე. ყველაფერს ევროპის ჩემპიონატის შედეგები გადაწყვეტს. შესაძლოა, 1980 წლისთვის წავიდე დიდი სპორტიდან..." (საკდესი).

## ფეხბურთი

პირველი ლიგა

□

# რევანში არ შედგა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 23 აგვისტო.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 0:1 (0:0).

„**ტორპედო**": მჭედლიძე, ზ. სვანაძე, გოგოლაძე (კვაჭანტირაძე), წვერავა (მელიქია), თევზაძე, ფოფხაძე, თ. სვანაძე, ქვირია, ფესტვენიძე, ებანოიძე, ა. კვერნაძე (დუდუშიძე).

„**ნისტრუ**": ზაბიაკა, დუბროვინი, ხოხლოვი, ჩებანუ, დანილიანცი, ტიგლიაცოვი, პავლოვი, ბელენკი, კორიუკოვი (აფონინი), მაცურა, საფრონენკო.

მსაჯი — ვ. ლევიტინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:1.

ამ ტურისთვის შექმნილი სატურნირო მდგომარეობა უაღრესად საპასუხისმგებლო, რთული ამოცანების წინაშე აყენებდა ქუთაისელთა კოლექტივს. მას შემდეგ, რაც ბოლო 9 მატჩში „ტორპედომ" 18 შესაძლებლიდან მხოლოდ 4 ქულა აიღო და 14 დაკარგა, მისი მდგომარეობა I ლიგის გუნდებს შორის საგრძნობლად გაუარესდა და სასწრაფო გამოსწორებას საჭიროებდა. ამას გარდა, საჭირო იყო ფიქრი რევანშზეც, ვინაიდან პირველ წრეში „ნისტრუმ" თავის მინდორზე ქუთაისელებს მოუგო ანგარიშით 3:0.

მატჩი დაიწყო ქუთაისელთა ტერიტორიული უპირატესობით. მართალია, ეს იერიშები მხოლოდ მეტოქის საჯარიმო მოედნამდე აღწევდა და კარში დარტყმა სულ ორჯერ შესრულდა (გოგოლაძე, თ. სვანაძე), მაგრამ თამაშის სიმძიმე მაინც „ნისტრუს" დაცვას აწვა. სტუმრები არ ჩქარობდნენ, უმეტესად შუა მინდორში მოქმედებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ არ მიეცათ მოწინააღმდეგისთვის ტემპიანი თამაშის გაშლის საშუალება.

დაახლოებით ასევე მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კიშინიოველები შედარებით გააქტიურდნენ, მჭედლიძეს მოუხდა რამდენიმე სახიფათო დარტყმის მოგერიება. თავის მხრივ თამაშში ჩაბმა დაჭირდა ზაბიაკასაც, რომელმაც ერთ-ერთ მომენტში კუთხურზე მოიგერია კვაჭანტირაძის ძლიერი დარტყმა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ტორპედოელთა მთავარი ამოცანა შეუსრულებელი, რჩებოდა და მაყურებელთა ნაწილი დაიძრა კიდეც ტრიბუნებიდან, როცა „ნისტრუმ" სწრაფი და მოულოდნელი კონტრშეტევა განახორციელა. ეს მოხდა 87-ე წუთზე. ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბელენკი და მისმა დარტყმამ ზუსტად მიაღწია მიზანს. რევანშის აღების ნაცვლად ქუთაისის „ტორპედომ" დამარცხებულმა დატოვა თავისი მინდორი.

კ. ხურციძე.
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: ასკ (დონის როსტოვი) — ასკ (ოდესა) 2:0, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „კარპატი" (ლვოვი) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ". | 26 | 14 | 9 | 3 | 35—17 | 37 |
| „დინ" მნ. | 26 | 12 | 9 | 5 | 34—22 | 33 |
| ასკ რ. | 25 | 11 | 11 | 3 | 42—23 | 33 |
| „ნისტ". | 26 | 12 | 7 | 7 | 33—21 | 31 |
| „ყუბანი" | 26 | 11 | 9 | 6 | 36—26 | 31 |
| „კარპატი" | 24 | 11 | 8 | 5 | 34—23 | 30 |
| „თერგი" | 26 | 11 | 6 | 9 | 35—34 | 28 |
| „ტავრია" | 25 | 9 | 8 | 8 | 31—25 | 26 |
| „ქალგირ". | 25 | 7 | 12 | 6 | 26—24 | 26 |
| „კუზბასი" | 26 | 9 | 7 | 10 | 27—34 | 25 |
| „შინიკი" | 24 | 9 | 7 | 8 | 26—23 | 25 |
| „ტორპედო" | 25 | 9 | 6 | 10 | 26—25 | 24 |
| „დინ". ლ. | 26 | 7 | 9 | 10 | 37—41 | 23 |
| „სპარტ". ი-ფ. | 26 | 9 | 4 | 13 | 27—40 | 22 |
| ასკ ოდ. | 26 | 7 | 8 | 11 | 28—35 | 22 |
| „პამირი" | 26 | 5 | 12 | 9 | 27—29 | 22 |
| „მეტალ". | 25 | 5 | 12 | 8 | 23—31 | 22 |
| „ურალმ". | 26 | 6 | 8 | 12 | 18—33 | 20 |
| „კოლხოზ". | 26 | 5 | 6 | 15 | 19—39 | 16 |
| „სპარტ". ორ. | 25 | 5 | 4 | 16 | 17—36 | 14 |

## ჭადრაკი

გუშინწინ ბაგიოში ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XVI პარტია მოეწყო.

პირველად გათამაშდა ფრანგული დაცვა, რომელიც პრეტენდენტმა აირჩია. ეს სადებიუტო სისტემა მწვავე პოზიციებს წარმოშობს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის მიერ გამოყენებულ ტარაშის ვარიანტს სწრაფი გაცვლები და ენდშპილი მოჰყვა.

ენდშპილში თამაში კიდევ უფრო გამარტივდა, როცა დაფიდან მსუბუქი ფიგურები გაქრნენ. შეიქმნა ოთხი ეტლის ენდშპილი, მერე ერთი წყვილი ეტლიც გაიცვალა.

42-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

გუშინ თამაშის განუახლებლად მეტოქენი დაზავდნენ. მატჩის ანგარიშია 3:1 კარპოვის სასარგებლოდ.

აი, XVI პარტიაც:

**კარპოვი — კორჩნოი**

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მd2 c5 4. ed ed 5. კb5+ კd7 6. ლe2+ ლe7 7. კ:d7+ მ:d7 8. dc მ:c5 9. მb3 ლ:e2+ 10. მ:e2 მ:b3 11. ab კc5 12. კd2 მe7 13. მf4 0—0 14. 0—0 ეfd8 15. მd3 კb6 16. c3 f6 17. ეfd1 მფf7 18. მფf1 მf5 19. კe1 მe7 20. მb4 ეd7 21. ეd3 ეad8 22. ეad1 მფe6 23. კd2 მc6 24. მ:c6 bc 25. b4 მფf7 26. კe3 კ:e3 27. ე:e3 ეb8 28. ეe2 ეb5 29. ეa1 ეdb7 30. ეd2 მფe6 31. ეa6 ე5b6 32. ეa2 მფd6 33. მფe2 ეe7+ 34. მფd3 a6 35. ეd1 მფc7 36. ე2a1 მფd8 37. f3 ეe5 38. მფd4 მფc7 39. ეe1 მფd6 40. f4 ე:e1 41. ე:e1 a5 42. ba. ყაიმი.

## ტ. მალინზოიძე



[illegible] ტრაგიკულად დაიღუპა სსრ კავშირის [illegible] ჩემპიონი ავტორალიში, სპორტის ოსტატი ტ. მალინზოიძე. იგი მხოლოდ 29 წლის იყო, თანატოლებში შრომისმოყვარეობით, საუკეთესო ოსტატობით გამოირჩეოდა.

ტამერლანს ძალიან უყვარდა სისწრაფე. იგი თავისი საქმის უსაზღვროდ ერთგული იყო და ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე საავტომობილო სპორტში ბევრის გაკეთება მოასწრო. 1966 წელს თბილისის 43-ე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დედაქალაქის მუშათა კლასის რიგებში ჩადგა. ტექნიკა იტაცებდა, განსაკუთრებით საავტომობილო, ამიტომაც მან დაუკავშირა თავისი მიზანი — „თბილავტოტექმომსახურების" № 7 ტექმომსახურების სადგურში დაიწყო მუშაობა. 5 წლის წინ კი ავტოსპორტსმენი გახდა.

მალინზოიძე კოლექტივში გამოირჩეოდა, როგორც ამხანაგების მოყვარული, პატიოსანი, გამრჯე ადამიანი, რომელიც მზად იყო თავისი ცოდნა და გამოცდილება ყველასთვის გაეზიარებინა. ამ შრომისმოყვარეობით შეძლო მან რამდენჯერმე ყოფილიყო რესპუბლიკის ჩემპიონი და ასპარეზობათა პრიზიორი.

ყველა, ვინც მას იცნობდა სინანულით იგონებს შესანიშნავ ამხანაგს, რომელიც მუდამ მზად იყო თავისი კოლექტივის ღირსების დასაცავად. იგი ჩვენგან წავიდა უდროოდ, შემოქმედებითი და სპორტული აყვავების ხანაში.

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი, ავტომოტოსპორტის რესპუბლიკური ფედერაცია.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" 33-ე ტირაჟებისა, რომლებიც 19 აგვისტოს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტოს" 6 — 49-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2912 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 74, ოთხისთვის — 49, სამისთვის — 3.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2363 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 67, ოთხისთვის — 42, სამისთვის — 3.

„სპორტლოტოს" 5 — 36-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის — 318, სამისთვის — 8.

**მეორე:** ოთხი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 236 მანეთია, სამისთვის — 7.

**ქალთა** მძლეოსნობაში 400 მეტრზე თარჯრბენი სულ რამდენიმე წელია საერთაშორისო ტურნირების პროგრამაში შევიდა და ამ სახეობაში რეკორდების აღრიცხვაც მაშინ დაიწყო. პოლონელმა კ. კასპერჩიკმა 1974 წლის 23 ივლისს აუგსბურგში პირველი სარეკორდო შედეგი (56,51) აჩვენა. ეს მიღწევა თითქმის სამი წლის შემდეგ, 1977 წლის 26 ივნისს კარლ-მარქსშტადტში გამართულ შეჯიბრებაში გააუმჯობესა საბჭოთა მძლეოსანმა ტ. სტოროჟევამ — 55,74. მაგრამ სტოროჟევას რეკორდმა მხოლოდ 48 დღეს გაძლო, რადგან ჰელსინკში კ. როსლეიმ (გდრ) მას 0,11 წამი ჩამოაჭრა.

## მძლეოსნობა

და აი, წლეულს, პრაღის ევროპული ჩემპიონატის წინ 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდი ორ დღეში 2-ჯერ გააუმჯობესდა. პირველად იგი დასავლეთ ბერლინის ტურნირზე კასპერჩიკმა დაიბრუნა, როცა დისტანცია 55,44 წამში გაირბინა. ერთი დღის შემდეგ კი პოდოლსკში ტ. ზელენცოვამ (სსრ კავშირი) 55,31 წამი აჩვენა.

პრაღაში ორივე რეკორდსმენი — კასპერჩიკი და ზელენცოვა ერთმანეთის პირისპირ დადგება, ამიტომაც სპეციალისტები ახალი რეკორდის დაბადებას ელიან.

## ველოსპორტი

**დასავლეთ** გერმანიაში განახლდა ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, ოღონდ ამჯერად სარბიელზე გზატკეცილზე მოასპარეზენი გამოვიდნენ. კიოლნის მახლობლად, 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში, თავიდან შვეიცარიელები დაწინაურდნენ, შემდეგ მათ საბჭოთა კვარტეტმა გაასწრო, მაგრამ გამარჯვება ჰოლანდიელებმა იზეიმეს — 1:59.51. საბჭოთა სპორტსმენებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს — 2:01.0. მესამე ადგილი ერგოთ შვეიცარიის ველოსიპედისტებს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

## კალათბურთი

**ვილნიუსში** დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის ხსოვნის თასზე. აშშ-სა და ლიტვის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 106:68. სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების მატჩში წარმატება პირველებს ხვდათ წილად — 122:91. აღნიშნულთ გარდა ტურნირში მონაწილეობენ მექსიკისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. შეჯიბრება წრიული სისტემით მიმდინარეობს და 29 აგვისტომდე გასტანს.

**ესპანეთის** ქალაქ კუენკაში გოგონათა გუნდების ევროპული ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრაში საბჭოთა კალათბურთელებმა მოუგეს რუმინელებს — 84:67. ახლა ფინალში ისინი შეხვდებიან იტალიელებს, რომლებმაც ბულგარელ კალათბურთელებს მინიმალური სხვაობით სძლიეს — 87:86.



**მოსკოვში** გამართულ აკადემიურ ნიჩბოსანთა საკავშირო პირველობაში ოქროს მედლები მოიხვეჭეს 20 წლის მოსკოველმა ტყუპებმა იური და ნიკოლოზ პიმენოვებმა. მათ გაიმარჯვეს ორადგილიანი უმესაჭო გასაშლელი ნავებით ასპარეზობაში.

საკდესის ფოტო.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74).

26 აგვისტო
**ფ ე ხ ბ უ რ თ ი**
საქართველოს პირველობა
„სპარტაკი" (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი)
დასაწყისი 18 ს.

□

27 აგვისტო
**რ ე გ ბ ი**
სსრ კავშირის პირველობა
„ელვა" (თბილისი) — სხა (მოსკოვის ოლქი)
დასაწყისი 17 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარახკვჯისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02175